

კომპანიის კაპიტალის ფორმირებისა და შენარჩუნების წესები ევროკავშირის  
სამართლის მიხედვით - შედარებითი ანალიზი მეწარმეთა შესახებ კანონთან  
(მოქმედი რედაქცია და ახალი კანონპროექტი)

მარიამ ბაინდურაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ ცერცვაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

მარიამი, ბაინდურაშვილი, 23/06/2021

## აბსტრაქტი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს, საქართველო ვალდებულია ჰარმონიზაციაში მოიყვანოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის სამართალთან. აღნიშნული შეთანხმება, არსებით გავლენას ახდენს საკორპორაციო სამართალზეც, რაც გამოიხატება შესაბამისი ევროპული დირექტივების იმპლემენტაციაში. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ევროკავშირის მეორე დირექტივა, რომელიც ეხება კაპიტალის შექმნასა და შენარჩუნებას საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში.

ნაშრომის მთავარი მიზანია, რომ მკითხველს დაანახოს დირექტივის ის სავალდებულო ნორმები, რომელიც არსებითად გასათვალისწინებელია ქართული სამეწარმეო სამართლისთვის და ამასთანავე გამოკვეთოს 2008 წლიდან დღემდე მშკ-ში განხორციელებული ცვლილებების უარყოფითი შედეგები. დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე ის სავალდებულოდ მოითხოვს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტით ან წესდებით განსაზღვრული კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის; კრძალავს აქციონერებზე მოგების ისეთ განაწილებას, რომელიც ცალსახად იწვევს კაპიტალის შემცირებას, გარდა ამისა აწესებს ლიმიტებს კომპანიის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვისას; კრედიტორებს აღჭურავს სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურების გამოყენების უფლებით კაპიტალის შემცირებისას; მკაცრად იცავს არსებულ აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლებას კაპიტალის გაზრდისას და სხვა.

საკითხების უკეთ წარმოსაჩენად, გამოყენებულია შედარებით სამართლებრივი და დოგმატური კვლევის მეთოდები, რომლებიც იძლევა პასუხებს კითხვებზე: რა არის მინიმალური საწესდებო კაპიტალი, რითი განსხვავდება ის საზოგადოების კაპიტალისგან და როგორ ხდება შენატანებით მისი შევსება. კვლევა ასევე ეფუძნება ნორმატიულ ბაზას, სადაც განხილული იქნება კაპიტალის შექმნისა და შენარჩუნების მარეგულირებელი

ნორმები და მათი ხარვეზები საკანონმდებლო ბაზაში. შედარებით კვლევით კი დგინდება კომპანიის კაპიტალის გაზრდისას გერმანული და ბრიტანული კანონმდებლობის შესაბამისობა დირექტივის დებულებებთან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მეორე დირექტივა, კრედიტორი, აქციონერი, მინიმალური საწესდებო კაპიტალი, კაპიტალის სახეები, არაფულადი შენატანი, კაპიტალის გაზრდა, კაპიტალის შენარჩუნება, დივიდენდის გაცემა, აქციათა გამოსყიდვა, აქციონერთა თანასწორუფლებიანი დაცვა.

## Abstract

According to the Association Agreement between the European Union and Georgia, which came into force on 1 July 2016, Georgia has undertaken the duty to approximate its national with European Union legislation. The agreement has a significant impact on Georgian corporate legislation, which is expressed in the implementation of the corresponding European directives. In this respect, Second Council Directive represents one of the most important documents, which determines the rules for the formation and maintenance of the capital in public limited liability companies.

The main goal of the work is to reveal to the reader those mandatory norms of the Directive that must be envisaged for the Georgian Corporate Law, and also to outline the negative consequences of amendments implemented in the GCL since 2008.

Based on its objectives, the Directive requires that the information about the capital determined by the constituent document or regulation must be available for any interested person; it prohibits the distribution of dividends among shareholders, which explicitly causes the reduction of the capital; besides, the Directive establishes limits on repurchasing the company's own shares; it equips creditors with the right to use legal and administrative procedures in the case of reduction of the company's capital; the preemptive right of shareholders in the event of capital growth is strictly protected and so on.

In order to present these issues in the best possible way, comparative legal and dogmatic research method has been employed, which gives responses to the following questions: What is the minimum nominal capital? How is it different from the subscribed share capital? How is it paid for by cash payments and in-kind contributions?

The study reviews the normative base in which the regulatory norms of formation and maintenance of the capital, as well as the flaws existing in the legislative base are discussed. In addition, the comparative research states the correspondence of British and German legislations with the provisions of the Directive regarding the increase of the capital.

**Key words:** Second Council Directive, creditor, shareholder, minimum nominal capital, capital types, in-kind contribution, capital increase, maintenance of the capital, distribution of dividends, repurchasing of shares, ensuring minimum equivalent protection for shareholders.